

მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (0-დან 70 001-მდე სარეიტინგო ქულა), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შემდგომში ბენეფიციარი) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი

1. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და განეკუთვნებიან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ს არ აღემატება;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. პროგრამაში ჩართვის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

დ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №IV-100ა (კანონმდებლობით დადგენილი ფორმით);

ე) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100ა-ით განსაზღვრული მედიკამენტების, სერტიფიცირებული აფთიაქის მიერ გაცემული, განფასება (კალკულაცია);

ვ) პროგრამის ბენეფიციართან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიმღები;

ზ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი სარეიტინგო ქულით;

3. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის

სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

2. ბენეფიციარისათვის დახმარების გაწევის გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. პროგრამის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბენეფიციარისთვის დახმარების გაწევის გადაწყვეტილება მიიღება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ შედგენილი აქტით ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელშიც დაფიქსირებულია ბენეფიციარი საჭიროებს თუ არა დახმარებას. თუ პროგრამით დადგენილი დახმარების მიღების მსურველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი გასცემს საგარანტიო წერილს მოქალაქის მიერ წარმოდგენილი იმ აფთიაქის სახელზე, საიდანაც პროგრამით მოსარგებლის მიერ წარმოდგენილია ფორმა №IV-100ა-ით გათვალისწინებული მედიკამენტების განფასება (კალკულაცია).

3. მედიკამენტებით დახმარების მიზნით მომზადებულ საგარანტიო წერილში მიეთითება შემდეგი მონაცემები:

- ა) ბენეფიციარის პირადი მონაცემები;
- ბ) აფთიაქის სახელწოდება;
- გ) დაფინანსებული თანხის ოდენობა - რიცხობრივად და სიტყვიერად.

4. მედიკამენტების დახმარების მიზნით გაცემულ საგარანტიო წერილში მითითებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

5. საგარანტიო წერილის საფუძველზე აფთიაქი ბენეფიციარს გადასცემს ფორმა №IV-100ა-ში გათვალისწინებულ მედიკამენტებს, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია. მოქალაქე თავისუფალია ლიცენზირებული აფთიაქის არჩევაში.

6.საგარანტიო წერილის საფუძველზე მოქალაქის მიერ შერჩეული ავთიაქის მიერ გაცემული მედიკამენტების შესაბამისად დგება მიღება-ჩაბარების აქტი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურსა და ავთიაქს შორის.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

2.მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 200 000,00 (ორასი ათასი ლარი და 00 თეთრი), რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

ბიუჯეტი	200 000,00 ლარი
I კვარტალი	70 000,00 ლარი
II კვარტალი	50 000,00 ლარი
III კვარტალი	40 000,00 ლარი
IV კვარტალი	40 000,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ქალაქ რუსთავში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (0-დან 70 001-მდე სარეიტინგო ქულა) რეგისტრირებული მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოფილი იქნებიან მედიკამენტებით, პროგრამით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური

მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი